დასუფთავების მომსახურების შესყიდვის ფასმოკვლევა

დეველოპერული კომპანია, შპს „მპ დეველოპმენტი“ აცხადებს კონსოლიდირებულ ტენდერს დასუფთავების მომსახურების ფასმოკვლევაზე

მომსახურების/საქონლის აღწერა

ფასმოკვლევა ცხადდება კომპანიის მფლობელობაში არსებული 10 (ათი) სავაჭრო მოლის დასუფთავების მომსახურებაზე. დასუფთავების არეალს წარმოადგენს საერთო მოხმარების/ზოგადი სივრცეები, გარე ტერიტორია და შენობების საერთო სივრცეებში არსებული ვიტრაჟები და სხვა ფასადის ნაწილები. მოლები მდებარეობს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. მოლების შესახებ ინფორმაცია და მომსახურების ინდივიდუალური დეტალები მოცემულია დანართ N1-ში, ამასთანავე ტენდერს ერთვის მოლების ფოტოსურათები.

სავალდებულოა პრეტენდეტმა წინადადების წარმოდგენამდე მოახდინოს მოლებში ადგილზე ვიზიტი.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- სრულყოფილად შევსებული ფასების ცხრილი დანართი N2
- კომპანიის ზოგადი ინფორმაცია და რეკვიზიტები
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ მოკლე ინფორმაცია (გამოცდილება, კლიენტების ჩამონათვალი)
- საქართველოს რეზიდენტი ორი კომპანიის სარეკომენდაციო წერილი

შემოთავაზებების მიღებისა და ტენდერის პროცესი:

- ტენდერის პროცესი იმართება ონლაინ პლატფორმაზე Tenders.ge, სადაც ტენდერის დასრულების ვადამდე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სავალდებულო დოკუმენტაციაში ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი
- დამაზუსტებელი კითხვების არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტი უნდა დაუკავშირდეს ამავე დოკუმენტში მითითებულ საკონტაქტო პირს
- ფასმოკვლევაში მითითებული სპეციფიკაციებიდან განსხვავებული შემოთავაზების წარმოდგენის შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია ფაილში გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი
- შემოთავაზების წარმოდგენის შემდეგ, მოთხოვნის შემთხევაში უნდა წარმოადგინოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო პირობები:

- ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმდება ხელშეკრულება 12 თვის ვადით;
- შეთანხმებული ფასები უნდა იყოს ფიქსირებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე;
- **ანგარიშსწორების პირობა:** უნაღდო, თვეში ერთხელ

აუცილებელი მოთხოვნები:

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი განფასება - დანართი N2
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი
- პრეტენდენტის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და პრეტენდენტი არ უნდა იყოს ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის პროცესში.
- წინადადებაში მითითებული ფასი მოცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, ყველა გადასახადისა და გადასახდელის გათვალისწინებით.

ხელშეკრულება დაიდება პრეტენდენტთან საუკეთესო ფასის და შემოთავაზებული წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის პირობებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

საკონტაქტო პირი
გიორგი მაჭარაშვილი
+995 591364444
G.macharashvili@biograpi.ge